№ 133

ხუთშაბათი, 21 ივნისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 133

ხუთშაბათი, 21 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრესი ტელეგრაფის: Тифлисъ „Фармацевтика“ № 741.

საოჯახო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საშვილებისათვის, ჰურჯლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—50)

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, ჰირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისსვე ჰირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს.

სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ვ. მ. ჩაქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანატაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგანაშვილისა, № 21 (გორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭაჭანაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტროთი—9—10 საათ.

ნ. ა. შულაია—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინავანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

ვ. ლ. მარკეზიი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მადლაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ახალი ამბავი

*** 13 ივნისს, მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსდგა კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.

*** 19 ივნისს კავკასიის სატეხნიკო საზოგადოების წევრთა კრებას დაუდგენია მომავალ შემოდგომაზედ დააარსოს ტფილისში მუშებისათვის სატეხნიკო კურსები.

*** უმართებელეს სენატის საკასაციო დეპარტამენტის მე-4 განყოფილებას უკვე განუხილავს საკასაციო საჩივარი თავ. კონსტანტინე წულუკიძისა. მკითხველებმა უკვე უწყიან წულუკიძის საქმის გარემოება. წულუკიძეს თავადის ასულის მარიამ წულუკიძის (დღეს ქ-ნ მდივანის) მოტაცება ჰბრალდებოდა. ტფილისის ოლქის სასამართლომ ბრალდებულს კატორგაში გაგზავნა და ყოველივე უფლების ჩამორთმევა გადაუწყვიტა. სენატს, განუხილავს რა თავ. წულუკიძის საქმე, გაუუქმებია პალატის გადაწყვეტილება და მიუწერია ხელ-ახლა იქმნას ეს საქმე განხილული.

*** 24 ივნისს დაიწყება მატარებლების მიმოსვლა ბაქოსა და საბუნჩას შუა ახლად გაყვანილ მეორე ლიანდაგზედ.

*** კვირას, 24 ივნისისათვის, თავად-აზნაურთა თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრების გაგრძელება. ამ კრებაზედ განხილულ იქმნება საზოგადოების მოქმედების ანგარიში. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

*** 19 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოში განხილულ იქმნა საქმე ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა ყორღანოვისა და ალიბეგოვისა, რომელნიც ბელგიის უსახელო საზოგადოებას 200 ათას მან. ედავებიან. სასამართლომ გაანაჩენის გამოცხადება ამ საქმის გამო 26 ივნისისათვის გადასდვა.

ფელეტონი

კანტის ფილოსოფია და ისტორიული მატერიალიზმი

ამ სათაურით რუსული ჟურნალის „Образованіе“-ს ამ წლის მეორე ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი, რომელიც მკუთვნის ბ-ნს ს. შტეინბერგს. ჩვენ ვეცდებით „ივერიის“ მკითხველებს თავისუფალის გარდაცემით გაუზიაროთ უმთავრესი და საყურადღებო აზრები ამ წერილისა. ბოლო დროს როგორც რუსულს მწერლობაში, ისე დასავლეთ ევროპაში დიდი გონებითი მოძრაობაა, რომელიც სცდილობს სხვა-და-სხვა სოციალურ მოვლენათა განმარტებას კანტის ფილოსოფიის დახმარებით. ეს მოძრაობა დაკავშირებულია ისტორიულ მატერიალიზმთან. კანტის ფილოსოფიის მიმდევართა შორის არიან როგორც კარლ მარქსის სწავლის ადმსარებელნი, ისე წინააღმდეგნი მისის ისტორიულის მატერიალიზმისა. ეს უკანასკნელნი სცდილობენ მეცნიერულ საფუძველთა შემწეობით უარჰყონ ისტორიული მატერიალიზმი, და ამისთვის ასახელებენ ისტორიაში ისეთს ფაქტებს, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ სწავლას. ისინი უსაჭიროესად სთვლიან იმ მცნებათა გაჩხრეკა-გამოკვლევას (ანალიზმს), რომლებზედაც დამყარებულია მარქსის სწავლა, თუმცა ამასთანავე იქ ჰხედავენ დიდს სამეცნიერო ღირსებათ (მაგალითად რუდოლფ შტამლერი). თვით მარქსისტები, რომელნიც თვისს სწავლას კანტის ფილოსოფიას უახლოვებენ, სცდილობენ კრიტიკის ცეცხლის შეტანას თვისს მოძღვრებაში. ასეთებია, მაგალ. ვოლტმანი და ბერნშტეინი საზღვარ გარეთ და რუსეთში კი—სტრუვე და ბერდიაევი... ამ კრიტიკაში ის არის ღირს-შესანიშნავი, რომ იგი სცდილობს წინ წამოაყენოს ისტორიის მატერიალიზმის შეგნების პრაქტიკული იდეალიზმი (საქმიერობითი იდეალიზმი)... ამ პრაქტიკულ იდეალიზმის დასაბუთების საუკეთესო ფორმად უნდა ჩათვლილ იქმნას კანტის ფილოსოფია, რომლის დახმარებით იგი (იდეალიზმი) შეიძლება შერიგებულ იქმნას ისტორიულ მატერიალიზმთან...

დასავლეთ ევროპაში ისტორიული მატერიალიზმი წამოაყენა იმ მოძრაობამ, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილებათა გარჩევიდგან მომდინარეობდა და თხოულობდა ძირითადს საზოგადოებრივს ცვლილებას. მარქსი და ენგელსი სენსიმონის, ფურიეს, ოვენის და სხვათა მემკვიდრენი არიან. ესენი ისტორიაში ცნობილნი არიან უტოპისტებად, რადგანაც ისეთს აზრებს ჰქადაგებდნენ, რომელთაც სინამდვილესთან კავშირი არა ჰქონდათ და მხოლოდ შორეულს მომავალში ვითომდა უნდა განხორციელებულიყვნენ. მათს სწავლას იდეალური ხასიათი ჰქონდა და უფრო დამყარებული იყო მათს საკუთარს ოცნებაზედ. კარლ მარქსი თვისს თეორიაში წინააღუდგა ყოველს იდეალიზმს. არა ჩვენი იდეალები და იდეები შექმნიან საზოგადოებრივის ცხოვრების ახალს ფორმებსა, არამედ მწარმოებელ ძალთა ზრდა და ხალხის კლასთა შორის ბრძოლაო. აი ის ძალა, რომელიც ამოძრავებს ისტორიას. უტოპისტები ღრმად სცდებოდნენ, როდესაც ჰფიქრობდნენ, რომ მშვიდობიანის ჩაგონებით და მაგალითით შეიძლება განკურნებულ იქმნან კაცობრიობის ტანჯვანი. არა! მხოლოდ ძალას შეუძლიან გახდეს ახალ წესწყობილების ბებიად; საზოგადოებრივს ძალას შეიქმს ეკონომიურ ინტერესთა ჯეროვან გაწვრილებების ნიადაგი. ისტორია კლასთა შორის ბრძოლაა; ბრძოლა დამჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის. იურიდიული და პოლიტიკური ფორმები, ჩვენი იდეალები და იდეები—ამ ბრძოლის შუქის გადაცემაა და სხვა არაფერი. მაგრამ რა განსაზღვრავს ამ ბრძოლას? რა გამოიწვევს საზოგადოებრივ ფორმათა ცვლილებას? მწარმოებელ (მუშათა) ძალთა ზრდა. აი მარქსის პასუხი. ძველად, როცა ხალხი განუვითარებელი იყო, მწარმოებელ ძალათა ზრდა მიმდინარეობდა შეუმჩნეველად. ჩვენი იდეალები, იდეები, პოლიტიკური და იურიდიული ფორმები ბოლოს, კლასთა შორის ბრძოლა და ეკონომიურნი ურთიერთობანი განისაზღვრებიან და გამოირკვევიან დაბოლოებით შედეგში მწარმოებელთა ძალთა ნივთიერ განვითარებით, საზოგადოებრივ ცვლილებათა დროს დადგომა იმას მოასწავებს მხოლოდ, რომ მწარმოებელ ძალთა უკვე გადააბიჯეს თავისს იურიდიულ, პოლიტიკურ და იდეალურს ფორმებს.

მაგრამ შემდეგში ისტორიულ მატერიალიზმის დამფუძნებლებმა თვითვე შესცვალეს განმარტება თვისის სწავლისა. 1890 წლის წერილში ენგელსი იმ აზრისაა, რომ სახელმწიფო, უფლება და იდეია განგერძობუდად, დამოუკიდებლად არსებობს. იმის აზრით, ეკონომიურ საფუძველთა საშუალებით არ შეიძლება ახსნილ იქმნას ბევრი საკითხი იდეალურის ხასიათისა, მაგალითად სარწმუნოება, ფილოსოფია, უფლება და სხვ. ეკონომიურს კითხვებს პირდაპირ თავის თავად არა აქვთ გავლენა ფილოსოფიაზედ,—რომელზედაც პირდაპირი, ძლიერი გავლენა აქვს პოლიტიკურს, იურიდიულს და ზნეობრივს აზრებსა. უფრო შორს მიდის ამ შემთხვევაში ვოლტმანი. იმის აზრით, „ცხოვრების სულიერი მსვლელობა—ისეთივე თვითარსი ფაქტორია ისტორიულს განვითარებაში, როგორც ეკონომიური (ნივთიერი); ორსავე მხარეს აქვს საზოგადო დასაბამი ბუნების ისტორიაში. ვოლტმანის აზრით, მატერიალიზმს არასოდეს არ შეუძლიან ახსნას ის საკითხი; თუ როგორ და რანაირად შეიძლება შეიცვალოს ისტორიულ-ევოლიუციური მოძრა-

** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, სახალხო წარმოდგენათა გამმართველს კომისიას განუზრახავს ქუთაისში სახალხო თეატრის აგება. ამას გარდა ქუთაისის სცენის მოყვარე ნოქრებს აზრადა აქვთ თურმე საკუთარი შენობა ააგონ თავიანთ წარმოდგენებისათვის.

** ქალაქის საბჭოს ორშაბათს განუხილველი დარჩა სულ 19 საქმე, ამიტომ გამგეობამ გარდასწყვიტა დანიშნოს საბჭოს უკანასკნელი სხდომა ორშაბათის, 25 ივნისისათვის.

** ქალაქის საბჭოს დარბაზში პარასკევს, 22 ივნისს, დანიშნულია სხდომა რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა; ამ კრებაზედ მოხდება გამგეობის თავმჯდომარისა და წევრთა არჩევა.

** ქალაქის სასწავლებელთა კომისიას დაუვალებია სასწავლებელთა გამგეთათვის წარადგინონ მალე ანგარიში წარსულ სამოსწავლო წლის მოქმედებისა.

** 18 ივნისს საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ტფილისიდგან სოფელ მარტყოფს გაემგზავრა წმ. ანტონის მონასტერში, სადაც ამ ზაფხულს გაატარებს.

** 8 ივნისიდგან დაიწყო ქუთაისში იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საპედაგოგიო კურსები. სულ ამ კურსებზედ 50 მასწავლებელი ყოფილა მიწვეული.

** დღეს, 21 ივნისს, სადმოს 8 საათზედ, ქალაქ ტფილისის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად.

** როგორც „კვპგ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, ამ დღეებში ადმოუჩენიათ ქურდები, რომელთაც ს. თოფურიას სამკურნალოს კასიდგან 4000 მანეთი მოეპარათ. წინად ექვი მიეტანეს კასირს თავ. მიქელაძეზედ, რომელიც აჭმდის დაბეზღებული იყო უდანაშაულოდ. ეხლა, როგორც პოლიციის აგენტს საბურუსიანის ადმოუჩენია, ეს ფული მოუპარავს თურმე კასიდგან ორს დარაჯს, რომელთაგან ერთი, ბოგოკაძე, უკვე დაპატიმრებულია, ხოლო მეორე დამალულა.

** 14 ივნისს ადექსანდრეს სახელობაზედ არსებულ დაწრილთა კომიტეტებს მიუდიათ ბანსიანერებად ინსტიტუტებში, სხვათა შორის, შემდეგი ქართველი ქალები: ბრაუნშვეიგის ქალი ვაშალომიძე—ორენბურგის ინსტიტუტში, ჭოდოროუჩკების: თავ. მიქელაძისა და გაშტოძის ქალები—ორივე ამიერკავკასიის დედათა ინსტიტუტში.

** 19 მაისს მინგრელიის სადგურის მახლობლად მიმავალ მატარებლიდგან გადმოვარდნილა სადგურ ევლახის მეისრე პარმენ შენგელია და თავი დაუშავებია.

** 18 ივნისს, ბაქოში ლიანდაგზედ უნახავთ პენზის გუბერნიის მცხოვრები გლეხი ვლად. სინიაკინი, რომლისათვისაც მატარებელს ორივე ფეხი მოუტეხია. დაშავებული გაგზავნილ იქმნა ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში.

კავკასიის მომავალი გამოფენა.

მომავალ გამოფენისთვის მიღებულ იქმნა ექსპონატები: განჯის გიმნაზიიდგან, ახალციხის საქალაქო სასწავლებლიდგან და ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტიდგან—მოწაფეთა სხვა-და-სხვა ნაწარმოებნი.

—

ტფილისის მხატვრებს წარუდგენიათ გამოფენის გამგე კომიტეტისათვის საკონკურსოდ 6 სურათი მედლებისა და დიპლომების ექსპონენტების დასაჯილდოვებლად.

—

რუსეთის თევზის მომშენებელ საიმპერატორო საზოგადოებას კავკასიის გამოფენის ამ განყოფილებაზედ საუკეთესო ექსპონატების პატრონთა დასასაჩუქრებლად დაუნიშნავს 5 ბრინჯაოსი და სამი ვერცხლის მედალი.

—

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ხვალ, 22 ივნისს, მოხდება სამოქალაქო ინჟინერიის კრება. კრება გამოარკვევს რა მოთ ნაწილეობა უნდა მიიღონ ინჟენერ კავკასიის გამოფენის სატეხნიკო განყოფილების გამართვის საქმეში.

—

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის საბჭომ ხუთი ათასი მანეთი გადასდო გამოფენის გასამართავად. გუშინ, 20 ივნისს, კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტმა უკვე მიიღო ხუთასი თუმანი ბაქოს ქალაქის მოურავისაგან.

—

ამას წინად, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, კავკასიის გამოფენის გამმართველმა კომიტეტმა მიჰმართა სხვა-და-სხვა დაწესებულებას და სთხოვა კომიტეტში მათ თავიანთი წარმომადგენელნი დაენიშნათ. რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ კომიტეტში წარმომადგენელად დანიშნა ინჟინერი ბ-ნი ბახმეტიევი.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ძ. ახალციხე. თიბათვის პირველს რიცხვებში დასრულდა ეგზამენები ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების საქალებო სკოლაში. ეგზამენებს დაესწრნენ, სკოლის მასწავლებელთა გარდა, აქაური საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი გრიგოლ ივანეს ძე ჭიჭოძე, საქალებო სკოლის გამგეთ ნამყოფი გ. ი. ბურჭულაძე, თავმჯდომარე საზოგადოებისა მარიამ გ. გამრეკელი, კომიტეტის წევრი სოფიო დ. ალექსი-მესხიშვილი და ახალი გამგე. ეგზამენებმა რიგიანად ჩაიარა, ბავშვებს საკმარისი მომზადება ეტყობოდათ როგორც ქართულ-რუსულს ენაში, ისე სალმრთო სჯულსა და ანგარიშში. ოთხსავე განყოფილებაში ქალნი—კათოლიკენი პასუხს იძლეოდნენ ქართულად სალმრთო სჯულში, ხოლო მართლ-მადიდებელნი მეოთხე განყოფილებაში რუსულადაც. მართლ-მადიდებლმა ბერძნებმა და პოლონელმა ბავშვებმა ლოცვები ბერძნულადა და პოლონურადაც წაიკითხეს, თუმცა ქართულადაც კარგად იციან ლოცვები და სალმრთო ისტორია. სწავლა დაამთავრა სულ თექვსმეტმა ქალმა; ამათში თერთმეტი ქართველი კათოლიკეა და ხუთი ქართველი მართლ-მადიდებელი. კათოლიკენი არიან: 1) ბეთანიშვილი ანნა; 2) გრძელიშვილი ეფროსინე; 3) დიდიმამაშვილი ანნა; 3) იგოხანაშვილი ელენე; 5) თამარაშვილი ბარბარე (ნათესავი ცნობილის ისტორიკოსის თამარაშვილისა, რომელიც რომში მოღვაწეობს; 6) მამულაშვილი ვერა; 7) ნასყიდაშვილი ფილომინა, 8) ოქონაშვილი ანნა, 9) ყაზარაშვილი ევგენია, 10) ტრაცეცკაია სოფიო—პოლონელის ჩამომავალია, 11) ხითარაშვილი ლიუცია.

მართლმადიდებელნი არიან: 1) გელაძე ანნა, 2) დეკანოზიშვილი სოფიო (მაჰმადიანობიდგან გადმოსულა ქრისტიანობაზე), 3) მესხიშვილი მარიამი, 4) ჭალიძე მარიამი და 5) ჯაფარიძე ოლღა.

კურს დამთავრებულთ ყველას შესაფერი მოწმობა მიეცათ. ბავშვების სურვილით ფოტოგრაფიული სურათი იქმნა გადაღებული სწავლა დამთავრებულთა და მასწავლებელთა. მასწავლებლებთან და ბავშვებთან ერთად გადაღებულნი არიან თავმჯდომარე საზოგადოებისა და გამგე სკოლისა.

სწავლა დამთავრებულთა შორის ხუთი ბავშვი ისეთის ნიჭისანი არიან, რომ სწორედ ცოდვაა მათი დატოვება იმ ცოდნით, რაც პირველ დაწყებითმა სკოლამ შესძინა, მაგრამ საქველ-მოქმედო საზოგადოება უსახსრობის გამო ვერ ახერხებს გაჰგზავნოს სადმე და დამთავრებული განათლება მიაღებინოს. საზოგადოებას ისედაც უჭირს სკოლის შენახვა, რომელსაც წელიწადში 1300—1400 მანეთი უნდება. ამოდენა ფულის მოგროვება იმდენს შრომასა და ჯაფას[illegible] თხოულობს, რომ ორი-სამი ბავშვის [illegible] ტფილისში საზოგადოების ხარჯით მიუწდომელ იდეალათ უნდა დარჩეს, ვიდრე სკოლას ბედი არ გაუღიმებს.

არავინ

წერილი მესხეთიდგან

(დასასრული *)

მთელს ზემოხსენებულს ცამეტს სოფელსო-სოფლო მრეწველში ისლამთა ბარბარობას გადარჩა მხოლოდ მცირე ქართველობა, რომლებიც მესხეთსა და ჯავახეთში, ანუ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში სცხოვრებენ. ასე და ამგვარად 200 წლის განმავლობაში ნახეყარ საქართველოს ერმა ისლამი ადარა, დაივიწყა თავისი დედა-ენა, ზნე-ჩვეულება, მოისწყლა თავისს მამა-პაპათა ტრადიციებს; ეს კიდევ არაფერი,—იგი დუძინებულ მტრათაც გარდაიქცა, დღეს მას ქრისტიან ქართველთან საერთო აღარა აქვს. რა, იგი სასტიკი მტერია ქართველისა.

ასე, ბატონებო, ჩვენს ჩვენის სამწერლო ასპარეზზედ რადაც თბილ-თბილს, სამდაღდებლო მანიფესტებსა ვწკვავთ, ერთმანეთის ქიშპობითა და კამათით თავს ვიმტვრევთ, ტყვის ვიცხელებთ, დემოკრატია-ბურჟუაზიის ძახილით გონებას ვდაბნევთ, არისტოკრატიის სიძულვილით, სოციალიზმისა და სხვათა აზრების ტრიალ რახა-რუხით ხალხს თავ-ბრუს ვასხამთ, ევროპიულ წიგნების კითხვა ჩვენს უნიადაგობას გერ შეუთანხმეთ, ცხოვრების აგებულებასთან შეუსაბამოდ ვმოქმედებთ და თითრები და სომხები-კი იმიით მიდიან წინ, რასაც მაი ცხოვრება და მისი სამერმისო წესები ასწავლის. ვაი ჩვენს დღესა და ჩვენს გონებრივს ცრუ-განვითარებასა, რომ ჩვენის თვალით ვუმზერთ ჩვენს გაწყალებას, ჩვენის ტომის მოსპობას (მოკლედ ავნუსხეთ, თუ 200 წლის განმავლობაში ნახეყარ საქართველოერი თავისს ავ-კარგიანობით რაგორ მოისპო) გული ბორკტით შეიკვება მით უფრო, რომ ჩვენებრ უთავბოლოდ, შეუთანხმებლად და უსწრაფოდ არავინ იქცევა, მთელს დროს დასობასა და ფუჭ და

*) იხ. „ივერია“ № 132.

ლია არსებობისათვის იდეალის სასარგებლოდ ბრძოლად. რა არის იდეალი? ეს ის საზოგადო შეგნებაა, რომელიც მაღლა სდგას საპირადო და საკლასო ინტერესებზედ. მარქსისტებს სრულიად ავიწყდებათ, ვოლტმანის აზრით, ის გარემოება, რომ კაცთა სულიერი ცხოვრება მიისწრაფვის გახდეს დამოუკიდებელ მიზნად და სცდილობს ამისთვის განშორდეს ეკონომიურს საკლასო ინტერესებსა. ჩვენის შეგნების იდეალური ფორმები (ფილოსოფია, სარწმუნოება, უფლება, სახელმწიფო და სხვ.) და წარსულ დროთა მთელი ბრძოლა არ შეიძლება ეოგელივე ეს გამოუკლებლად ახსნილ იქმნას რაგორც შედეგნი ეკონომიურის მოძრაობისა... მარქსიზმს სწამს მხოლოდ ერთი ზნეობითი სწავლა,—სკვდასო ზნეობა (ზნეობა საზოგადოების კლასთა შორის ბრძოლაზედ დამყარებული).

მაგრამ კაცთა ნათესავის ზნეობითი ისტორია გვიჩვენებს, რომ არსებობს აგრეთვე საკაცობრიო ზნეობა, რომელიც მაღლა სდგას კლასთა შორის ბრძოლის ინტერესებზედ, რომ ამ ზნეობის მოძღვრება თანდა-თან განვითარდება და საერთო აზრა აქვს-რა ერთის რომელიმე ტომის და ან კლასის ზნეობითს სწავლასთან. მარქსიზმს არ შეუძლიან ახსნას ეს ზნეობითი ფსიხოლოგიური ფაქტი; ის შეცდომით უარჰყოფს მას, როგორც საზოგადოდ ისტორიულს ფაქტს, და ან ავდებს ოცნებათა მტვრიანს სანაგვეში“. ბრძოლა ხდებოდა და ხდება არა თუ ეხოლოდ ეკონომიურ ინტერესთა გამო, არამედ კაცობრიობის ინტერესთა დაცვისათვისაც. თუ რომ ისტორიაში არსებობს თავისუფლება, ამბობს იგივე ვოლტმანი, ესე იგი თუ ჩვენ ჩვენის თავისვე ბატონები ვართ და ამ თავისუფლების მეოხებით კაცი მბრძანებელია ბუნებისა და ეკონომიის ძალებისა,—ის უსათუოდ ადამიანის ნების ძიძიერის ნაყოფია და, უპირველეს ყოვლისა, დიდებულ გვამთა საწინაო სიქმეა, იმ დიდებულ გვამთა, რომელნიც მაღლა იდგნენ ბრბოზედ და, როგორც მოაზრენი და მოქმედნი, ამოძრავებდნენ და ადზრდიდნენ ხალხს სულიერად მის თავისუფლების მიმართ მისწრაფებაში... „უსირცხვილო (ცინიკური) დაცინვა დოლმატიურ მატერიალისტებისა გზაკვალს ვერ დაგვიბნევს ჩვენ ჩვენს ამ იდეალურს რწმენაში“. შესანიშნავია ის, რომ ეს სიტყვები წარმოსთქვა იმ კაცმა, რომელიც ერთგული მქადაგებელია მარქსის სწავლა-მოძღვრებისა და სცდილობს ამ სწავლა-მოძღვრებაში კრიტიკული სული შეიტანოს. მაგრამ იგივე ვოლტმანი კაცის სულიერ ცხოვრებას ხსნის ტეხნიკურ მიზეზების ზედ გავლენით... კაცის შეგნება თავისუფალია და ობიექტიური; ის მოქმედებს, როგორც ლოგიკური შეგნება, ფიზიკას, ზნეობითს მოძღვრებას, მათემატიკასა და ყოველს ობიექტიურს (დამოუკიდებელს, მიუდგომელს) მსჯელობაში. კაცის შემეცნების განვითარებას, ვოლტმანის აზრით, ხელი შეუწყო ტეხნიკის გამოჩენამ.

პირუტყვი სარგებლობს თავისს ორგანოებით, მაგრამ კაცმა კი შექმნა დამატებითი ორგანოები—იარაღები, რომელთ საშუალებითაც მოქმედებს სავნებზედ. იარაღი ნივთიერად აორკეცებს ადამიანის სხეულს. სხეულის ასეთი ნივთიერი გაორკეცება გამოიწვევს სულიერს გაორკეცებასაც... ეს გარემოება აძლიერებს კაცის შეგნებას და წარმოშობს მისს თვით-შეგნებას (самосознаніе), ეს თვით-შეგნება საფუძველია ობიექტიურის ჰაზროვნობისა (объективное мышленіе). თუ წინად შეგრძნება (ощущеніе) პირდაპირ გადადიოდა მოქმედებაზედ,—იარაღის შემოღების შემდეგ ეს შეგრძნება სანამ მოქმედებაზედ გადავიდეს, გამოიწვევს თავისსავე გაორკეცებას შეგნებაში, ესე იგი შეგრძნებას, რომელიც იგივეა, რაც თვით-შეგნება. ამ სახით ადამიანის შეგნება შედეგია ტეხნიკისა. ბ-ნი შტეინბერგი არ ეთანხმება ვოლტმანის ამ აზრს. იმის სიტყვით, ტეხნიკის შედეგი კი არ არის ადამიანის შემეცნება, არამედ შემეცნების შედეგია ტეხნიკა (გამოგონება იარაღისა, მისი ხმარება)... ის ადამიანები, რომელნიც ხმარობდნენ ტეხნიკურს იარაღებს, უფრო თვისდა სასარგებლოდ ებრძოდნენ მტრებსა, მეზობლებსა და ბუნებასა და ამის მეოხებით არ აღიგავნენ დედა-მიწის ზურგიდგან. უფრო საფუძველიანი იქნება, რომ ადამიანის შევნება დაკავშირებულ იქმნას მისს ენასთან. ენა—ჯერ ერთი რომ უფრო პირველ დაწყებითი შედეგია საზოგადოებრივის ცხოვრებისა და მერე—ერთი უმთავრეს პირობათაგანია როგორც საზოგადოებრივის, ისე კერძო შეგნების განვითარებისა. სიტყვა გარეგანი ნიშანია გრძნობისა ანუ აზრისა; ამასთანავე იგი ფრიად შესამჩნევი იარაღია საზოგადოებრივის ურთიერთობისა არსებობისთვის ერის ბრძოლისა და ბატონობისათვის.

მაგრამ ჩვენთვის—ბრძანებს ავტორი,—შეგნების შესახებ საკითხი კი არაა უფრო საინტერესო, არამედ ის წინააღმდეგობა აზრთა შორის, რომელიც არსებობს ვოლტმანის ნაწერში. მთელს წიგნში შეხვდებით ასეთს ორ აზროვნობას, ასეთს ორპირობას. ერთსა და იმავე გვერდზედ ვოლტმანი იდეალისტიც არის და მატერიალისტიც... ერთსა და იმავე წიგნში ის მქადაგებელია ორის ერთმანეთის წინააღმდეგის ჰაზრისა; თვით ირყევა თვისს მსჯელობაში, და მკითხველმა არ იცის, რომელს დაუჯეროს, ვოლტმანს იდეალისტს, თუ ვოლტმანს მატერიალისტს. ვოლტმანის აზრთა წინააღმდეგობა ურთიერთშორის აიხსნება იმითი, რომ ხსენებულს მეცნიერს სურს მარქსიზმი და კანტის ფილოსოფია ერთმანეთს შეუფარდოს.

ფარი

(დასასრული იქნება)

უქმ, ჩვენთვის უნიადაგო მოძღვრებათა კამათს განდომებთ. აი, თვითონ მე, თქვენი უმორჩილესი მონა, გკითხულობ „მშაკს“, „ნორდარს“, „მურკს“, „ტარაზს“ და სხვებიც მიკითხავს, საქართველოში ნაბეჭდი, კონსტანტინეპოლში თუ სხვა ქალაქებში, მაგრამ იქ მე ისეთი არა შემიმჩნევია-რა, რასაც ჩვენში ჩვენები ჭქადაგებენ და სთესავენ. ამა დამისახელეთ, რომელს გაზეთებში და წრეებში აქვთ ისეთი დასური კინკლაობა, როგორც ეს ჩვენშია. მართალია, მცირე განსხვავება მათშიაც მოიძოვება ურთიერთ შორის, მაგრამ ისე-კი არა, როგორც ეს ჩვენშია, არამედ თავ-თავისს ალაგას, თავისს შესაფერად, პატრიოტობით, სხვათა მამულების შეძენით, ფულის მობოკვით და გაკრობით. მათში უფრო ერთია: სოციალისტი, კომუნარი, ნიგილისტი, კინდ ანარქისტი, პატრიოტი და კაპიტალისტი, უფრო მაინც სომეხია და წმინდა სომეხი; სხვების წინააღმდეგ ისინი საერთო მიზნით არიან აღჭურვილნი, უფრო ერთს ჯგუფს წარმოადგენს. უფრო „მშაკისტი“ თამამად ადიარებს, რომ სომხის ეკლესია —არის ზედაგარი, რომელზედაც სდგას, სცხოვრობს და კანისუნებს სომხის გვარი. ეს ზედაგარი რომ გამოვაცალოთ, მაშინათვე დაეცემოდ. ასეთს ტენებს განმარტებენ თვით ისინიც-კი, რომელნიც დემოკრატიულ დასის წევრებათ ითვლებიან, კოსმოპოლიტურ ახრახუნების მარევში სცურავენ, სოციალისტობასა და ნიგილისტობაზედ თავსა სდებენ. უფრო ეს აქ იმიტომ მოგიყვანე, რომ ჩვენი უსარგებლო მოძრაობა და ბედაძუნი ადმენიშნა, ადმენიშნა ის, თუ რას ჩავდიავართ, რა ამდგრეულ მორევის ზვირთებში ვცურავთ. მაგრამ კმარა ამაზედ და ისევ ჩვენს საკანს შევუდგეთ.

დღეს ახალციხის მაზრაში ოფიციალურად 209 სოფელი ითვლება, ახალქალაქის მაზრაში-კი ამაზედ მცირეა. სულ ორსავე მაზრაში ქართველი ქრისტიანები შემდეგს სოფლებში-და სცხოვრობენ:

1, დიდი ბგარა, 25 კომლი, მართლმადიდებელნი, ქართულად მოლაპარაკენი;

2, ანდრია წმინდა, 45 კომლი, მართლ-მად. ქართულად მოლაპარაკენი;

3, არალი, კათოლიკენი, 70 კომ., ქართ. მოლაპარაკენი;

4, ახაშენი, 4 კომლი, მართლმადიდ., ქართულ. მოლაპარაკენი;

5, აწყური, 14 კომლი, მართლმად., ქართ. მოლაპარაკენი;

6, ბენარა, 8 კომლი, ქართვ. კათოლიკენი, ქართ. მოლაპარაკენი;

7, ბნელა, 8 კომლი, მართლ-მად. და კათოლიკენი, ქართ. მოლაპარაკენი;

8, ბოლაქური, 5 კომლი, ქართველი კათოლიკ., ქართ. მოლაპარაკენი;

9, ვალე, 200 კომლი, ქართვ. კათოლიკენი, ქართ. მოლაპარაკენი;

10, გობიეთი, 1 კომ., მართლმადიდ., ქართ. მოლაპარაკენი;

11, დადეში, 42 კომლი, მართლმადიდ., ქართ. მოლაპარაკენი;

12, დღვარი, 20 კომლი, მართლმად., ქართ. მოლაპარაკენი;

13 დეილი, 45 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპარაკენი;

14, ზედა თმოგვი, 40 კომლი, მართლ-მადიდ., ქართ. მოლაპარაკენი;

15, ზურზელი, 40 კომლი, მართლმადიდ. ქართ., მოლაპარაკენი.

16, ქვაბის-ხევი, 29 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპ.

17, კუნცა, 15 კომლი, მართლმად., ქართ. მოლაპარ.

18, მიქელ-წმინდა, 2 კომლი, მართლ-მად., ქართ. მოლაპარაკ.,

19, სოკეთი, 16 კომლი, მართლმად., ქართ. მოლაპ.

(დასასრული იქნება)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Русскія Вѣд.“-ი ერთ თავის წერილში ეხება პირველ დაწყებით სწავლა-განათლების საქმეს ქალაქებში. ამ ბოლოს დრომდეო, სწერს გაზეთი, სახალხო განათლებას ქალაქის თვით-მმართველობანი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. როგორც „პეტერ. წერა-კითხვის გამავრცელებელ კომიტეტის“ მიერ შეკრებილ ცნობებიდგანაა სჩანს, იმპერიის 946 ქალაქიდგან 92 ქალაქს სულ არა ჰქონია თითო კლასიანი პირველ-დაწყებითი სკოლა, ერთი და ორი სკოლა ჰქონია 437 ქალაქს; 20 სკოლაზედ მეტი მხოლოდ 21 ქალაქში ყოფილა. ეს ცნობები შეკრებილია ამ რამდენისამე წლის წინად, 1894 წელს. მაგრამ ბოლოს დროს შეკრებილი ცნობებიც სანუგეშოს ვერაფერს გვეუბნება. თითო ქალაქზედ რუსეთში სულ 2,3 პირველ დაწყებითი საზოგადო სკოლა მოდის. ნაანგარიშევია ამ შემთხვევაში ქალაქებში დაარსებული ყველა უწყების სკოლა. კერძოდ თუ საქალაქო სკოლებს ავიღებთ (ქალაქის თვით-მართველობათა მიერ დაარსებული), მათი რიცხვი ბევრად მცირე გამოვა.

„ქალაქის თვით მმართველობათა ასეთი დაუდევრობა სახალხო სწავლა-განათლების საქმეში, განაგრძობს შემდეგ გაზეთი, რასაკვირველია, საიდუმლოს არავისთვის შეადგენს, მაგრამ ამ ბოლოს დრომდე ქალაქებს მაინც არ უფიქრიათ ამ ჩაღის შესებისათვის. ქალაქის საბჭოები სრულიად უყურადღებოდ სტოვებდნენ ამ უპირველეს საზრუნავს საქმეს. რამდენიმე წელიწადია მხოლოდ, რაც სახალხო სკოლების დაარებას შეუდგნენ. განსაკუთრებით ქალაქის საბჭოების წელს, ბატონ-უმობის გადაგარდნიდგან ორმოცის წლის შესრულების სახსოვრად, დაეტყო დიდი სურვილი სახალხო განათლების გავრცელებისა. მოსკოვმა, როგორც გუწყით, უკვე გადასწყვიტა ამის სახსოვრად საოველთაო პირველ-დაწყებითი განათლება შემოიღოს; ოდესსა 19 ახალ სკოლას აარსებს. ასევე იქცევიან სხვა ქალაქებიც“.

ურიგო არ იქმნება ამიერ-კავკასიის ქალაქებმაც მეტი ყურადღება მიაქციონ პირველ-დაწყებით განათლებას და უფრო მხნედ შეუდგნენ სკოლების დაარსებას; თორემ დღევანდელი სკოლები მცხოვრებთა ერთ მეოცედსაც ძლივს აკმაყოფილებს.

* * *

ამ ბოლოს დროს გაზეთებში არა ერთხელ იბეჭდება ხოლმე სამწუხარო ამბები, რომ ამა და ამ მოსწავლემ განიზრახა მასწავლებლის ან დამრიგებლის მოკვლაო. ამის შესახებ გაზეთი „Южанинъ“-ი სწერს:

„მოსწავლეთა ამ გვარ განზრახვას უეჭველთვის სარწმუნოდ უკმაყოფილება უძევს ხოლმე; გამწარებული და უკმაყოფილო მასწავლებელზედ იმ ზომამდე მიდის, რომ მკვლელობასაც-კი არ ერიდება. დანაშაულობის შემდეგ არც ერთი მოწაფე არა ჭნახობს ხოლმე ჩადენილ დანაშაულობას. ხშირად სწუხს კიდეც, რომ განზრახვა სავსებით ვერ მოვიყვანე სისრულეშიო“.

გაზეთი, აღნიშნავს რა ასეთ მოსწავლეთა „ტრაგიკულ მდგომარეობას“, განაგრძობს:

„სამწუხაროა, დიდად სამწუხარო, რომ ოჯახსა და სკოლას შორის არსებულ იმ არა ნორმალურ დამოკიდებულებათა მსხვერპლად ისინი ხდებიან, ვისაც უფლაზედ ნაკლები დანაშაული მიუძღვის. მართალია და სკოლა, თავისის მტკიცედ განსაზღვრულ რეჟიმით, წესებით, სისტემით სრულ წინააღმდეგობას შეადგენს იმისას, რასაც ბავშვი ოჯახში შეეჩვია. უმთავრესი მიზეზი ოჯახსა და სკოლას შორის არსებულ არა ნორმალურ დამოკიდებულებისა—შიშია, რომელმაც სრულიად განდევნა უმთავრესი ამოზრდელი ელემენტი—სიყვარული“.

დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ საჭიროა სკოლასა და ოჯახს შორის ამ არა ნორმალურ დამოკიდებულობის მოსპობა და სკოლაში შიშის ნაცვლად სიყვარულის დამყარებაო.

უცხოეთი

გერმანია. ამ დღეებში თავადის ბისმარკის სამარე დიდძალმა სტუდენტობამ ინახულა, რომლებიც თითქმის გერმანიის უველა კუთხეებიდგან შემოკრებილან. ამ მანიფესტაციამ შვიდი ბისმარკისა, გერბერტ ბისმარკი, დიდად თურმე ასიამოვნა და სტუდენტებს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „არის სახლი, რომელიც ბისმარკის ჰოლიტიკის ტრადიციებსა და პრინციპებს არდევეს, ამ პრინციპებსა და ტრადიციებს, რომლებმაც გერმანიას დიდება მოანიჭეს. ეს პრინციპები-კი არ უნდა ირდვეოდეს, პირ-იქით უნდა განმტკიცებულ იქმნას, რომ გერმანიის გეთილდღეობა უზრუნველ-უოფილი იყოსო“. პარიჟის გაზეთი „Temps“ შეჰნიშნავს ამ სიტყვებისა გამო, რომ „არის ხალხი“ დღევანდელ კანცლერის გრაფის ბიულოვის მეტს სხვას არავის მიეწერებაო. მაგრამ გერბერტ ბისმარკი რომ ბიულოვის ჰოლიტიკის წინააღმდეგია, ეს არავისთვის ალარ არის და ერთხელ კიდევაც დაჰბეჭდა მის წინააღმდეგ წერილი და გამოსთქვა აზრი, რომ დღევანდელმა ჰოლიტიკამ გოგენტოლერნების იმპერიასთ „რკინის კანცლერის“ ჰოლიტიკას სრულიად გზა აუხვია. ამის გამო ერთ ხანად ხმაც გაჰრეულდა, რომ გერბერტ ბისმარკი პარლამენტში გრაფის ბიულოვის ჰოლიტიკის წინააღმდეგი იქმნებაო, მაგრამ მოდიდინი შემდეგ არ გამართლდა, ბისმარკის შვილმა პირდაპირ წინააღმდეგობა აღარ დაუწყო.

ინგლისი. გერედ წოდებულ „ჰოზიტივისტთა კომიტეტის“ თავმჯდომარემ ფრედერიქს გარრისონმა „Daily News“-ში სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ ინგლისელ ხალხებს მიმართ მოთხე წერილი დაბეჭდა. გაზეთმსტემს-რა მოკლედ ქონის გობგოუზის მოხსენებას შინაარსს, გარრისონი განაგრძობს: „თუ ომის იტუვიან, რომ ბურების დედაკაცები თავისს შვილებს კარგად გერ უვლიან და უგულოდ ეპურობიან, ეს კიდევ ახალი შეურაცხყოფა იქმნება მხოლოდ. ხოლო თუ იტუვიან, რომ 63,000 ტუე-ბურის გამოკვება ძნელი არისო და ამავე დროს დასძენენ 1,250,000 ფრანკი მათ სასმელ-საჭმელს დავახარჯეთო, მაშინ უნებლიედ კითხვა აღგვეძრის: ვინ იყო ის, რომ ასეთი ჯოჯოხეთური ტანჯვა მიაყენა საბრალო ბურებს, თუ რომ იტოდნენ რომ მთავრობას მათი შენახვა გაუჭირდებოდაო? დაუკითხნეთ ჩვენს თავს—შეესაბამება თუ არა 1,250,000 ფრანკი იმ მილიონ კირვანქა სტერლინგებს, რომლებიც მხედრობის გამოკვებასა, ტყვენებისა და საჭონლის შეძენასა და მებრძოლ ბურების ბარბაროსულად მოსპობილს ქონებას დასჭირდაო. მთელს ინგლისში არ მოიძებნა კაცი, რომელსაც ჩვენის გენერლების გაფრთხილება შესძლებოდა და ეთქვა, რომ ამ სახარელის ხალხთა ულტისათვის თავი დაენებებინათ, „უაზრად დაწუობილი ომი“ უარ-ეყოთო. ერთხელ რადისლაც, მახსოვს, ინგლისის სახოგადოებას სურათს აჩვენებდნენ, რომელშიაც ინგლისის გენერალი ბურის ბავშვს წერა-კითხვას ასწავლიდა. ახლა ეს გენერალი სხვანაირად უნდა იქმნეს დახატული: ინგლისელი გენერალი და მისს გარშემო მხოლოდ ბავშვების სამარენი, რომელსაც იგი ამაყად თვალს ავლებს. ომმა ხასიათი და მიმართულება შესცვალა: იგი რადაც გულურ შურისძიებად გადიქცა, რომლის სამარცხვინო ჩირქსაც ზღვა ვერ გადარეცხს მოელის საუკუნის განმავლობაში და ინგლისის სინდისსა და პატიოსნებას მძიმე ტვირთად დააწვებოო“.

დამაგვირგვინებელი

შეუვარებულს ქალს უველაზე ძლიერ შეუვარს, ცოლს—უველაზე უკეთ, დედას—უველაზე ხანგრძლივ.

* * *

მეგობრობაში ერთსულობაა ორის გვამისა, სიყვარულში ერთგვამობაა ორის სულისა.

* * *

განშორება პატარა სიყვარულს აუძლურებს, დიდს-კი უფრო აძლიერებს; იგი ქარსა ჰგავს, რომელიც სინთლეს აქრობს და დიდს ალს-კი უფრო განადიდებს ხოლმე.

ლაროშფუკო

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

ამოკრებილი ამბები

ამ ჟამად მთელ დედამიწის ზურგზედ 7,000-მდე მკურნალი-ქალია თურმე. დღეს ყველგან შეჰხვდება კაცი მკურნალ ქალს როგორც ევროპასა და ამერიკაში, ისე აფრიკასა, ავსტრალიასა, ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც ამას წინად ამერიკიდგან დაბრუნდა მკურნალობის დოქტორი, ჩინელ მანდარინის ენგის ქალი. ამ ქალმა ფილადელფიის უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი. ამას წინად პარიჟში მარსელ ბოდუენს გამოუცია საყურადღებო წიგნი მკურნალ-ქალთა შესახებ. ავტორი წიგნისა მოგვითხრობს, რომ მკურნალი ქალები უუძველეს დროსაც იყვნენო. ამათ შორის უძველეს მკურნალად ცნობილია კარიის დედოფალი არტემიზა; შემდეგ ტეანო, შესანიშნავის პითაგორის მეუღლე, რომელსაც მკურნალობის გარდა კარგადა ჰქონდა თურმე შესწავლილი ფილოსოფია და იმ დროის მეცნიერებანი; არვტე, რომელიც იმდენად დახელოვნებული მკურნალი ყოფილა, რომ ერთ უსინათლოსათვის მხედველობა დაუბრუნებია. პირველი ქალი, რომელმაც მკურნალობა სკოლაში შეისწავლა, იყო ათინელი აგნოდიკა, რომელიც ქრისტეს დაბადების შემდეგ პირველ საუკუნეს სცხოვრობდა. ამ მხნე ქალმა გაიკრიჭა თმა, ჩაიცვა მამაკაცის ტანისამოსი და ვინმე გიეროფილთან მკურნალობის შესწავლას შეუდგა. მაგრამ შურიანმა ამხანაგებმა, მოსწავლე მამაკაცებმა, აგნოდიკაზედ საჩივარი შეიტანეს უმაღლეს სასამართლოში. სასამართლომ, ქალობის მხედველობით, რომელიც ქალებთა და მოხუცებულ სასტიკად უკრძალავდა მკურნალობას, დაშნაშაველი იცნო აგნოდიკა. მაგრამ ამ დროს ათინის მაღალის საზოგადოების მანდილოსნებმა გამოიდეს თავი და სენატს გამოაცემინეს ახალი კანონი, რომლის ძალითაც ქალებს ქალებისავე მკურნალობის ნება მიეცათ. რომაელების მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, მცირე აზიასა და რომში მკურნალობას რამდენიმე ქალი მისდევდა. ისტორიკოსნი ორ სხვა მკურნალ ქალსაც იხსენიებენ: ერთი ამათგანი ასპაზიაა, რომელიც პირველ საუკუნის დამლევს სცხოვრობდა. ამ ქალს მრავალი საყურადღებო ნაწერი დარჩენია. შემდეგ იხსენიებენ კიდევ ვინმე კლეოპატრას. ძველ ჰალიაშიაც მისდევდნენ ქალები მკურნალობას. ცნობილნი არიან, მაგალითად, გედონე (სცხოვრობდა მე-2 საუკუნეში) და ლიონელი მკურნალი ქალი მეტილია დონატა.

* * *

აუარებელი ხალხი სახლდება ამ ბოლოს დროს ევროპიდგან სამხრეთ ამერიკაში. წინად ევროპიელნი უფრო ჩრდილოეთ-ამერიკასა და ავსტრალიას ეტანებოდნენ, ეხლა ჩრდილოეთ-ამერიკას თითქმის თავი მიანებეს და ყველანი სამხრეთ-ამერიკისა და ავსტრალიისაკენ მიეშურებიან. მარტო არგონტინას პატარა რესპუბლიკაში 1,900 წელს გადასახლებულა 84,851 კაცი, ამათგან იტალიელი 52 ათასი ყოფილა, ესპანელი—20 ათასი, ფრანგი 3 ათასი, რუსეთიდგან გადასახლებულა 2119 კაცი (თითქმის სულ ებრაელნი) უმრავლესობას მიწად-მომქმედნი შეადგენენ—32 ათასი, შემდეგ მოსამსახურენი—$4^1/_2$ ათასი, ვაჭარნი—4 ათასი, მკერავნი—$3^1/_2$ ათასი, ზღვაოსანნი—$1^1/_2$ ათასი და სხვანი. ებრაელებს არსად მოსვენებას არ აძლევენ. ამ ბოლოს დროს სამხრეთ ამერიკაშიაც დაუწყეს თურმე მათ დევნა. ბრაზილიის შტატ პარში, მაგალითად, მცხოვრებთ, იმით გაჯავრებულთ, რომ ებრაელებმა წვრილი ვაჭრობა და მრეწველობა ხელთ ჩაიგდეს, გაანადგურეს და გაძარცვეს ადგილობრივ მცხოვრებ ებრაელთა სახლები და ქონება. ბევრნი დასჭრეს და მოჰკლეს კიდეც. ებრაელნი შტატის სატახტო ქალაქში გარბიან შემწეობის საძებნელად. ამ საქმის გამო რიო-ჟანეიროში მყოფ სახელმწიფოთა ელჩებს მიუმართავთ ბრაზილიის მთავრობისათვის და უთხოვნიათ რამე ილონის ებრაელთა დასაცველად ძალ-მომრეობისაგან.

* * *

საფრანგეთის მთავრობას განუზრახავს უმავთულო ტელეგრაფის გაყვანა აფრიკაში, თავისს ახალშენებში. გაგზავნილ იქმნა განსაკუთრებული კომისია ნიადაგისა და ჰაერის გამოსაკვლევად და იმის გასაგებად, დამაბრკოლებელი მიზეზი ხომ არა აღმოუჩნდება-რა ამ საქმეს. თუ ეს საქმე განსახორციელებელი იქმნება, მთავრობა კომისიის დაბრუნებისათანავე შეუდგება უმავთულო ტელეგრაფის გაყვანას საქარაში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან“)

19 ივნისი.

პეტერბურგი. გამოქვეყნებულ იქნა უმაღლესი ბრძანება იმ დროგამოშვებით გამოცემათათვის გამოცხადებულ გაფრთხილების ვადის დაწესების შესახებ, რომელნიც ცენზურას არ ექვემდებარებიან: 1, საცენზურო წესდების მე-144 მუხლის დასამატებლად დადგენილ იქმნას: პირველს გაფრთხილებას ექმნება ძალა დრო-გამოშვებით გამოცემისათვის ერთის წლის განმავლობაში ამ გაფრთხილების მიღების დღიდგან, თუ ამ ვადაში მეორე გაფრთხილება არ იქმნა გამოცხადებული. თუ ერთის წლის განმავლობაში დროგამოშვებითმა გამოცემამ მიიღო ორი გაფრთხილება, მაშინ გაფრთხილებას ძალა ექმნება ორის წლის განმავლობაში მეორე გაფრთხილების გა-

მოცხადების დღიდგან. თუ ამ ვადაში მესამე გაფრთხილება არ მოჰყვა, მაშინ დროგამოშვებითი გამოცემა განთავისუფლებული იქმნება მის მიერ მიღებულ გაფრთხილებათაგან და შემდეგი გაფრთხილება ხელახლა პირველად ჩაითვლება. 2, 1-ლ განყოფილებაში აღნიშნულს წესს ძალა ექმნეს იმ გაფრთხილებაზედ, რომელიც გამოეცხადა დროგამოშვებით გამოცემებს ამ კანონის დამტკიცებამდის.

გამოქვეყნებულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდეგი განკარგულება: „დროგამოშვებით გამოცემათათვის გამოქვეყნებულ უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ძალით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა: განთავისუფლებულ იქმნან გაზეთები: „Биржевыя Вѣдомости“, „Восходъ“, „Русскія Вѣдомости“ და ჟურნალი „Хозяинъ“ ამ გამოცემათათვის გამოცხადებულ სამის გაფრთხილებისაგან.

პროფესსორი ცვეტაევი დანიშნულ იქმნა მოსკოვის საჯარო და რუმანცევის მუზეუმის დირექტორად.

პარიზი. პალატა. საღამოს სხდომა. ალემანმა შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ყველა კონგრეგაცია დაუყოვნებლივ დახურულ იქმნას და მათი ქონებანი ჩამოერთვას. ორატორი თხოულობს, რომ მისი წინადადება ეხლავე იქმნას განხილული. წინადადების ეხლავე განხილვა უარყოფილ იქმნა. ლაფერიერი თხოულობს 1810 წლის კანონის გაუქმებას, რომლითაც ქრისტიანე ბერებს მიენიჭათ სწავლების უფლება. ამ წინადადების ეხლავე განხილვაც უარყოფილ იქმნა.

პარიზი. პალატა. განხილულ იქმნა დბმატებითი კრედიტი ჩინეთის ექსპედიციისათვის. სამხედრო პროტესტი გამოაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ომი პარლამენტის ნება-დაურთველად დაიწყო, და უსაყვედურა მისიონერებს ომის გამომწვევ მოქმედებისათვის, ხოლო ევროპიელთა ჯარებს—სამარცხვინო მოქმედებისათვის, დელკასემ კიდევ გამოუცხადა ჯარებს თავისი მადლობა. „ჩინეთმა ომი პირველმა დაიწყოო—სთქვა მან—დახოცა-რა უცხოელებიო. თუმცა მე არ შემიძლიან ჯერ კიდევ იმის თქმა, რომ მშვიდობიანობა უზრუნველ-ყოფილია, მაგრამ შემიძლიან დარწმუნებით ვსთქვა, რომ ყოველივე ღონისძიებაა მიღებული მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფელადო“. შემდეგ ლანესანმა დაიცვა ჯარები უსარგებლო სასტიკობის საყვედურისაგან; გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ყველა საექსპედიციო რაზმში იყო მხოლოდ ოცი მსგავსი აოჩმედება და ისიც თითო-ოროლა შემთხვევაში, რაიცა სასტიკად იქმნა დასჯილიო. კოშენი შეეკითხა, რას უპირებს ეხლა საფრანგეთი ჩინეთსაო? დელკასემ უპასუხა, რომ საფრანგეთი, როგორც სხვა სახელმწიფონი, დასტოვებს ჯარებს პეკინის გზაზედაო. სემბამ ითხოვა გამოძიების დანიშვნა, საექსპედიციო რაზმის მიერ ჩადენილ სისასტიკისა გამო. მილვუა და მინისტრ-პრეზიდენტი უარს აცხადებენ ამაზედ. სემბა პირიქით თავისას თხოულობს. ვივიანი თხოულობს 1000 ფრანკის გამორიცხვის დამატებითის კრედიტიდგან, რსდგანაც მსურს, რომ საფრანგეთი მეტად არ იქმნეს მისიონერთა დამცველიო. მინისტრ-პრეზიდენტი ამაზედ უარს აცხადებს და ამბობს, რომ მთავრობა არ შეასუსტებს იმ მოვალეობას, რომელიც საფრანგეთს უპირატეს მდგომარეობაში აყენებსო. ვივიანის წინადადება უარყოფილ იქმნა. სემბოს წინადადება უარყოფილ იქმნა. დასასრულ მიღებულ იქმნა ცალკე მუხლები დამატებითის კრედიტის პროექტისა და შემდეგ სხდომა შეწყვეტილ იქმნა.

პეკინი. დღეს ჩინელებმა მიიღეს პეკინში ბრიტანიის უბნის ნაწილის გამგეობა.

მადრიდი. ოფიციალური დეპეშები იუწყებიან, რომ ოპორტოში შავი-ჭირის გაჩენის ამბავი ტყუილიაო.

ბელგრადი. უცხოეთის გაზეთებიდგან აქაურს გაზეთებში გადმობეჭდილი ამბავი, რომ ფინანსთა მინისტრი გადადგაო, ყოველს სიმარტეს მოკლებულია.

პეკინი. ელჩთა გუშინდელს კრებაზედ დამტკიცებულ იქმნა პროექტი ჩინელთა მთავრობის მიერ მოწვევისა, რომლითაც მცბოვრებლებს ამშვიდებენ უცხოელთა ჯარების წასვლისა და ჩინელი ჯარის-კაცთა დაბრუნების გამო.

ლონდონი. ლორდთა პალატა. საადმირალოს ლორდი იუწყებარომ ამერიკელთა გემი „მაინი“. რომელიც სამხრეთ აფრიკაში საავადმყოფო გემობას სწევდა, პატრონებმა ინგლისელებს აჩუქესო. სპენსერი სიხარულს აცხადებს ამ საჩუქის გამო, რომელიც ორის ქვეყნის კეთილ განწყობილების მაჩვენებელიაო.

პრაგა. დილით ქალაქის დიდს დარბაზში გადასცეს სტუმრებს დიდი მშვენივრად შემკული თასი, ქალაქ პარიჟის საჩუქარი. პარიჟის ქალაქას საბჭოს დელეგატებმა სალამოს მეჯლისში გამართეს.—სალამოს მატარებლებით რამდენიმე „შავარდენი“ და სტუმრები უკვე წავიდნენ პრაგიდგან.

კაპშტადტი. იუწყებიან, რომ ფუშე უკვე შევიდა მაკლირისა და ელიოტის ოლქების ადგილებში, რომელნიც განსაკუთრებით ადგილობრავ მკვიდრთა აქვთ დათმობილი და სადაც მრავალი ცხენი ჰყავთ. რადგანაც მანდ სამხედრო უფლებას ძალა არა აქვს, ამისათვის ევროპიელი ფერმერები ემზადებიან ამ ადგილის დასაცველად, რომელიც ერთმანერთთან შეთანხმებით აქამდის ორივე მეომარ ერის მიერ ხელ-უხლებლად იყო დატოვებული.

ლონდონი. როგორც კიტჩენერი დეპეშით იუწყება, 11 ივნისს, 74 ბური აქმნა მოკლული, 60 დაჭრილი, 160 ტყვედ წაყვანილი და 136 თავის ნებით იარაღ დაყრილი. ინგლისელებს დარჩათ 136 თოფი, 15,800 პატრონი და 304 ურემი.

პრაგა. გუშინ, სადამზედ, რომელიც გამართა პრაგის სდაყიანთა კლუბმა „შავარდენთა“ მოფრენისა გამო, გენერალმა რიხტერმა სიტყვა წარმოსთქვა რუსეთის სტუმართა სახელით. მან უსურვა ჩეხებს დამოუკიდებლობის გზასა ზედა სვლა და თვის გულთა შინა დანერგვა სიყვარულისა დიდებულის რუსეთისადმი, განსაკუთრებით რუსეთთან სავაჭრო განწყობილების ადორძინება: ამისათვის მან ბევრი ადგილი მოიხსენიაო. ბუტერბურგელმა პროფესორმა სვაბოდამ შეჰქო „შავარდენთა“ დისციპლინა. რაიცა მთელ სლავიანობისათვის საჭირო. შემდეგ მან სადღეგრძელო დალია ფრანგისა და ფრანგ-სლავიანთა კავშირისათვის.

კაპშტადტი. პოლიციამ დაჭრილი შვიდა ფრანგების ოდქში მუნებურათა ტერიტორიის, მაგალითად. ბურებმა დასტოვეს ოდქი და ამ ჟამად ახლო-მახლო დაეხეტებიან. წინამძღოლი ფუშე, რომელიც იძულებულია ეხლა უკან დაიხიოს, უნდა გაუდგეს ერთ-ერთს იმ სამ გზათაგანს, რომელიც ინგლისელებს უკავიათ.

კონსტანტინეპოლი. ბაქტერიოლოგიურის კამოკვლევით ადმოჩნდა შავი-ჭირი ერთს ბერძენს, რომელიც გადატაში გახდა ავად სიკვდილით. პეტერბურგელმა პროფესორმა სვაბოდამ შეჰქო „შავარდენთა“ დისციპლინა. რაიცა მთელ სლავიანობისათვის საჭირო. შემდეგ მან სადღეგრძელო დალია ფრანგისა და ფრანგ-სლავიანთა კავშირისათვის.

კაპშტადტი. პოლიციამ დაჭრილი შვიდა ფრანგების ოდქში მუნებურათა ტერიტორიის, მაგალითად. ბურებმა დასტოვეს ოდქი და ამ ჟამად ახლო-მახლო დაეხეტებიან. წინამძღოლი ფუშე, რომელიც იძულებულია ეხლა უკან დაიხიოს, უნდა გაუდგეს ერთ-ერთს იმ სამ გზათაგანს, რომელიც ინგლისელებს უკავიათ.

კონსტანტინეპოლი. ბაქტერიოლოგიურის კამოკვლევით ადმოჩნდა შავი-ჭირი ერთს ბერძენს, რომელიც გადატაში გახდა ავად სიკვდილით. ბუხარესტი. „რუმინიის სააგენტო“ არდგენს, რომ ცილისწამებას მოკლებულს, გუნის გაზეთების მიერ გავრცელებულს ამბავს იმის შესახებ, რომ მეფე კარლოსი ვითომც მიწვეულ იქმნა წრეულს ავსტრია-უნგრეთის ჯარის ადღუმზედ. სამი გაზეთი სწერს, რომ უცხოეთის გაზეთების უგულო ცნობანი რუმინიის სამეფო სახლეულობის გამგზავრების შესახებ სიცხაიაში თუ სხვაგან, სულ ტუალეთია.

ბელგრადი. სუნიცადგან ხულ-ახლა იუწყებიან აქაურ ადბანელთა და ოსმალეთის ჯარის-კაცთა მიერ ჩადენილ სერბიელთა წინააღმდეგ მოქმედების შესახებ; ოსმალეთის ჯარის-კაცებმა დაიწყეს რამდენიმე სერბიელთა სოფელი და აწუხებენ მცხოვრებთ, იმის გამო, რომ ორანდსა ჰმადავენო.

პარიზი. როგორც ტახჯერიდგან იუწყებიან, მახდ მისულა გემების ადღუმისა გამო საფრანგეთის 12 გემი.

ვარშავა. სამე ფედიქს კრასინსკისა, კასების გამტეხელთა ბრბოს მეთაურისა, რომელსაც დაპატიმრების დროს ოჩი ხოდიცის მეთვალ-უურე მოჰკლა და ერთი მძიმედ დასჭრა, განხილული იქმნება ოდქის სასამართლოში 27 ივნისს.

პეტერბურგი. ხოსტანი, რომელმაც პეტერბურგში რუსეთის უცხოელებთან სავაჭრო ბანკში ჯაჭრის დერეფ 62,000 მან. მიისაკუთრა და გაიქცა, შეიპყრეს ბენდერში. უნახეს 42,000 მანეთი.

20 ივნისი.

ლეიპციგი. ლეიპციგის ბანკის გაკოტრებისა გამო კონკურსში მოხვდნენ ფლანელის ქარხანა ლემანისა ბერინგენში (საქსონია), აქციონერთა საზოგადოება 750,000 მარკის კაპიტალით და ლეიპციგის ქარხანა ბრანდისში, აქციონერთა საზოგადოება 1,200,000 მარკის კაპიტალით. „Humaniter Stiftung“-მა ლეიპციგის ბანკის აქციებში 500,000 მარკა დაჰკარგა. კობურგში ვინმე გრეინერი ისეთს სასოწარკვეთილებაში ჩავარდა ლეიპციგის ბანკის გაკოტრებით წაგებისა გამო, რომ ჯერ რევოლვერი ესროლა და მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი და ქალი, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა.

ნიუ-იორკი. ამ უკანასკნელს დღე და ღამეში მზემ დაჰკრა 183 კაცს, რომელთაგან 87 მოკვდა. უკანასკნელ 5 დღის განმავლობაში 136 კაცი მოკვდა ამავე მიზეზით.

ბერლინი. ლლოიდის გემით „ბაიერნით“, რომელიც 7 ივლისს წამოვა შანჰაიდგან, გერმანიაში მოდის ჩინეთის საგანგებო საელჩო პრინცის ჩუნის მეთაურობით. გემი 9 აგვისტოს უნდა მივიდეს გენუაში.

იოკოჰამა. როგორც სეულიდგან იუწყებიან, კორეამ უეცრად მოსთხოვა იაპონიას, რომ მისი ფოსტამტები გაუქმებულ იქმნას კორეაში და იაპონიის მოხელენი უკანვე იქმნან გაწვეულნი.

ტიანძინი. იუწყებიან, რომ იმ ბრძოლაში, რომელიც მოხდა შენიანთან ჩქილისა და მანჯურიის საზღვარზედ, მაჰმადიანთა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის, პირველნი დამარცხდნენ. ერთი მაჰმადიანი მოსულა მოკლულ იქმნა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. როცა შეეკითხნენ, ვრანბორმა განაცხადა, რომ მთავრობამ შეიტყო საელჩოს წამოსვლა ტიბეტიდგან რუსეთში. მაგრამ დაწვრილებითი ცნობები არ მიუღია ამ მოგზაურობის ხასიათის შესახებო. ინგლისის მთავრობას არ დაჰკითხებია ამ საქმისა გამო რუსეთის მთავრობა. ჯიბსონ ბიულსმა იკითხა: ეპირება თუ არა მთავრობა ბურებისადმი მშვიდობის პირობათა წარდგენასთან ერთად იმ გარემოებათა გადათვალიერებას, რომელიც მოჰყვა ჯემსონის შემოსევასა და დანიშნაზე თუ არა კომისიას ამ შემოსევის გულდადებით გამოსაძიებლადაო. ბალფურმა მიუგო, რომ მთავრობას არა ჰსურს, სელ-ახლა აღძრას ეს საქმეო.

პრაგა. პარიჟის ქალაქის საბჭოს დელეგატები დოსეს მეთაურობით პრაგაში წავიდნენ.

ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო Dr.-ის ფილიპე გოგიჩაიშვილის წიგნი, ნემეცურ ენაზედ დაწერილი—„მრეწველობა საქართველოში“ (Das gewer be in Georgien. Unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebstormen von Dr. Philipp Gogitschayschwili. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ამ თხუზულებისათვის ლეიპციგის უნივერსიტეტმა ბ-ნ გოგიჩაიშვილს დოქტორის ხარისხი მიანიჭა. უმთავრესი ყურადღება ავტორს თავისს თხუზულებაში წარმოების პირვანდელ ფორმებისათვის მიუქცევია. აი თვით შინაარსი წიგნისა:

შესავალი:

I შინა მრეწველობა: 1, ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ; 2, დიდი ოჯახი საქართველოში; 3, დიდის ოჯახის დარღვევა; 4, შინა მრეწველობის ნაწარმოებნი: ა, მამაკაცთა ნაწარმოები, ბ, დედაკაცთა ნაწარმოები.

II ნაწარმოები დაქირავებულ კაცთა მიერ დამზადებული და გასასყიდად დამზადებული: 1, საზოგადო ცნობები, 2, ნაწარმოები დაქირავებულთა მიერ დამზადებული: ა, ოჯახის გარეთ სამუშაო, ბ, შინა მრეწველნი; 3, გასასყიდად დამზადებული ნაწარმოები; 4, ამქრები.

III კაპიტალისტური წარმოება.

ეს თხზულება ცალკე დამატებათ დაიბეჭდა შეფლესა და ფროფ. ბიუხერის სამეცნიერო ჟურნალში, ტიუპინჰენს. წიგნი მშვენივრადაა გამოცემული და 121 გვერდს შეიცავს.

2, „ივანეს ოჯახის თავგადასავალი“, მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდგან პართენაშვილისა. ეს წიგნი ერთ შაურად ჰღირს.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ 23 ამა ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ხელახლა მოკირწყვლის საქმე კახეთის გზა-ტკეცილისა და ლაზარევის ჭუჩისა, სულ 1100 ოთხ-კ. საჟენისა; სამუშაო 2750 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე.

(3—6.—3)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, რაგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სახანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) საჯარო და სათმასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და დერმონტოვის ქუჩებიგუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუჯაიანცს, ტფილის. (24—133—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Іюня 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, დორის-შესახვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე